# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/296 „24" დეკემბერი 2018 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„მ. ოქროპირაშვილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 19 ივნისის №1/204 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „მ. ოქროპირაშვილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის №1/108 გადაწყვეტილების შესაბამისად, „მ. ოქროპირაშვილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 19 ივნისის №1/204 გადაწყვეტილებაში სიტყვები „თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში“ შეიცვალოს სიტყვებით „5 წლის ვადით“.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი